პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 102 (4612)

1972 წ. 27 მაისი, შაბათი. ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## გიორგი რცხილაძის სახელობისა

ვისაც სპორტულ სარბიელზე ერთხელ მაინც უნახავს დიდებული ტანმოვარჯიშე გიორგი რცხილაძე, არასდროს დაავიწყდება მისი უზადო, დახვეწილი, უმაღლეს ხელოვნებამდე მიყვანილი ოსტატობა. ვისაც ერთხელ მაინც უსაუბრია ამ განათლებულ და გულთბილ ადამიანთან, ვერასოდეს დაივიწყებს მის კაცურ კაცობას.

იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს. მისი თაოსნობით ბევრი რამ გაკეთდა ჩვენი ეროვნული სპორტის სადიდებლად. ნათქვამია, საქმემან შენმა გამოგაჩინოსო და აკი გამოაჩინა კიდეც რცხილაძის ნაამაგარი. მისი უშუალო თავკაცობით თბილისელი სპორტსმენები დიდი წარმატებით გამოდიოდნენ როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბიელზე.

ამბობენ, არავინაა დავიწყებულიო...

და აი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გადაწყვეტილებით, უმაღლესი სპორტული ოსტატობის ტანვარჯიშის სპეციალიზებულ სკოლას გიორგი რცხილაძის სახელი მიენიჭა.

## კაკულიამ კარგად დაიწყო

პარიზში, „როლან გაროს" კორტებზე, სტარტი მიეცა საფრანგეთის ღია ჩემპიონატს, რომელიც გრუნტიან ნიადაგზე არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად არის ცნობილი.

უიღბლოდ დაიწყეს ასპარეზობა საბჭოთა ჩოგბურთელებმა — ტალინელმა თ. ლეიუსმა, ბაქოელმა ს. ლიხაჩოვმა და მოსკოველმა მ. ჩუვირინამ. პირველი დამარცხდა უნგრელ გ. ვარუსთან (1:6, 2:6, 6:4, 1:6), მეორე — ჩილიელ პ. კორნეხოსთან (3:6, 9:11, 3:6), მესამე — ჰოლანდიელ ტ. ვალჰოფთან (5:7, 2:6).

სამაგიეროდ, მეორე წრეში გაიკვლიეს გზა მოსკოველმა ვ. კოროტკოვმა და თბილისელმა თ. კაკულიამ. კოროტკოვმა მოუგო ინგლისელ დ. ლოიდს (1:6, 7:5, 6:2, 6:1), კაკულიამ კი უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში აჯობა რუმინელ პ. მერმურიანუს — 8:6, 7:5, 8:6.

## დევისის თასზე

დამთავრდა დევისის თასის გათამაშების ევროპული „ა" და „ბ" ზონების ყველა მეოთხედფინალური მატჩი. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, „ა" ზონაში სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა მაროკოს გუნდი (5:0). ამ ზონაში დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: რუმინეთი — ირანი 5:0, იტალია — ჰოლანდია 4:1, პოლონეთი — დანია 5:0. ნახევარფინალში სსრ კავშირის ჩოგბურთელები შეხვდებიან პოლონელებს, ხოლო რუმინელები — იტალიელებს.

„ბ" ზონის მეოთხედფინალური მატჩების შედეგები ასეთია: მონაკო — პორტუგალია 3:2, ესპანეთი — საფრანგეთი 3:2, გფრ — ირლანდია 5:0, ჩეხოსლოვაკია — შვეცია 3:1. ამ ზონაში ნახევარფინალისტები ასე დაწყვილდნენ: ჩეხოსლოვაკია — გფრ და ესპანეთი — მონაკო.

ნახევარფინალური მატჩები 18 ივნისამდე უნდა ჩატარდეს.



## დაველოდოთ ოქტომბერს

ზაპოროჟიეში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. ბოლო ტურში თბილისის „ბურევესტნიკმა" ადგილობრივ „ალუმინსტროისთან" წააგო — 6:9 (5:4) და მხოლოდ 5 ქულით დაბრუნდა თბილისში.

წაგებას ვერც შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერი — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი გადაურჩა. სტუდენტებმა ფარ-ხმალი დაყარეს მოსკოვის „კუნცევოსთან" — 13:19 (8:8).

ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა კრასნოდარის „უნივერსიტეტი" — 12:8 (5:4). ტაშკენტის „ბურევესტნიკისა" და ცსკა-ს შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 12:12 (7:8).

ჩემპიონატის დასკვნითი, მეორე წრის მატჩები გაიმართება ოქტომბერში, პირველი წრის შემდეგ კი სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საავ. ინსტ. | 7 | 6 | 0 | 1 | 134—102 | 12 |
| მეტალ. ინსტ. | 7 | 5 | 0 | 2 | 92—72 | 10 |
| „კუნცევო" | 7 | 3 | 4 | 0 | 100—90 | 10 |
| „უნივერსტ." | 7 | 2 | 3 | 2 | 94—93 | 7 |
| „ბურ." (თბ.) | 7 | 2 | 1 | 4 | 87—100 | 5 |
| ცსკა | 7 | 1 | 3 | 3 | 99—114 | 5 |
| „ალუმინ." | 7 | 2 | 1 | 4 | 87—103 | 5 |
| „ბურ". (ტ.) | 7 | 0 | 2 | 5 | 103—122 | 2 |

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე



## მეექვსე პარტია

ა. კუშნირი — ნ. გაფრინდაშვილი

გრიუნფელდის დაცვა

**1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 d5 4. cd მ:d5 5. e4 მ:c3 6. bc კg7 7. კc4 0—0 8. მe2 c5 9. 0—0 მc6 10. კe3 ლc7 11. ეc1 ეd8 12. კf4 ლd7 13. dc ლe8 14. კd5 კd7**

აქამდე მეტოქეებმა IV პარტიის სვლები გაიმეორეს. შავები უკეთეს გეგმას ირჩევენ, ვიდრე 14. ... მe5.

**15. ეb1 e6 16. კb3 მe5 17. კg5 ეdc8 18. მd4 ე:c5 19. f4 მc4 20. კ:c4 ე:c4 21. ე:b7 ლc8**

შავებმა შესანიშნავი პოზიცია მიიღეს. მათ ორი ძლიერი კუ აქვთ, ასეთი პოზიცია კი თანმიმდევრული თამაშით მოგებამდე მიჰყავთ ხოლმე. ნონა კიდევ უფრო აძლიერებს მას.

**22. ეb2 კa4 23. ლd2 ლc5 24. e5 ე:c3**

ნაჩქარევია. 24. ... ეg8 შემდეგ შავები დიდ პოზიციურ უპირატესობას ინარჩუნებდნენ. გაფრინდაშვილს გამორჩა კუშნირის „მზაკვრული" სვლა. თეთრები პოზიციას ათანაბრებენ: თამაშში კუ შემოჰყავთ.

**25. კe7 ლc8**

არ შეიძლებოდა 25. ... ლc4 26. ეb4-ის გამო.

**26. ეb4 კe8 27. ეfb1 კf8**

საჭიროა შავუჯრიანი კუს გაცვლა, რომ თეთრების კუ d6-ზე არ გამაგრდეს.

**28. კ:f8 მფ:f8 29. h3**

ნონას აზრით, ეს კრიტიკული პოზიციაა, სადაც ალას თამაშის აქტიური გეგმა უნდა მოენახა. მართლაც, შავები ახერხებენ პატარა პოზიციური უპირატესობის მოპოვებას ენდშპილში გადასვლით. აქ ჯობდა 29. f5 ef 30. მ:f5 ef 31. ლh6+ მფg8 32. ლg5+ მუდმივი ქიშით. ყაიმი ასე გამოდიოდა.

**29. ... ლc5+ 30. მფh2 ეc8 31. ეb8 ლd5 32. ე:c8 ე:c8 33. ლb4+ მფg7 34. ლb7 ეd8 35. ლ:d5 ე:d5 36. მf3**

თეთრები ჩქარობენ ცენტრიდან მხედრის წაყვანას. ჯობდა 36. ეb4 მოსალოდნელი ყაიმით.

**36. ... h6**

უკეთესი იყო 36. ... ეa5 **37. h4**

კუშნირი კვლავ ცდება. და მისი პოზიცია ძალიან უარესდება.

**37. ... ეa5 38. ეb2 ეa4 39. g3**

კიდევ ერთი უზუსტობა. უკეთესი იყო 39. მფg3.

**39. ... კc6 40. მd2 კd5 41. მb3 ეe4 42. ეf2 ეe1 43. g4 g5**

აქ პარტია გადაიდო. კუშნირმა სვლა ჩაიწერა. შავებს მოსაგები მდგომარეობა აქვთ. თამაშის განახლებისას გაფრინდაშვილმა მოგების სწორი გეგმა აირჩია.

**44. hg (ჩაწერილი სვლა), hg 45. fg ე:e5 46. მფg3 ე:g5 47. მფh4 ეe5 48. მc5 ეe3 49. მd7 კe4 50. ეf4 a6**

შეცდომაა, რომელიც კუშნირს ყაიმის რეალურ შანსს აძლევდა. საჭირო იყო 50. ... კc6.

**51. მe5 კg6 52. მ:g6 მფ:g6 53. ეa4 f6**

ჩემპიონი უკან აბრუნებს ერთ-ერთ პაიკს, მაგრამ უაღრესად პერსპექტიულ პოზიციას ღებულობს.

**54. ე:a6 ეe4 55. ეa3**

კუშნირს უნდა მოენახა თამაშის აქტიური გეგმა, რაც ყაიმის შანსს აძლევდა, მაგრამ მან პასიურად ითამაშა. ეს შემდგომში ვირტუოზულად გამოიყენა მსოფლიო ჩემპიონმა. პარტიის დასკვნითი ნაწილი დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

**55. ... f5 56. ეg3 ეa4 57. a3 f4 58. ეb3 ეa8 59. მფh3 ეh8+ 60. მფg2 მფg5 61. ეb6 ეh6 62. მფf3 ეh3+ 63. მფf2 e5 64. ეe6 ეe3 65. a4 მფ:g4 66. a5 მფf5 67. ეa6 ეa3 68. ეa8 ეa2+ 69. მფg1 მფe4 70. a6 მფe3 71. a7 e4 72. მფh1 f3 73. მფg1 ეa1+ 74. მფh2 f2 75. ეf8 ე:a7. კუშნირი დანებდა.**

თ. გიორგაძე.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

რიგა.

* * *

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 4,5:1,5 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

მატჩის VII პარტია გუშინ უნდა გამართულიყო, მაგრამ კუშნირის ავადმყოფობის გამო არ შედგა. შემდეგი სათამაშო დღე გახლავთ ორშაბათი, 29 მაისი.

## მოსწავლეთა რესპუბლიკური... სპარტაკიადის დღიური



მოსწავლეთა წლევანდელი რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური ნაწილის პროგრამაში 21 სახეობა შედის. გუშინწინ შეჯიბრებაში ჩაებნენ ფეხბურთელები და ხელბურთელები, გუშინ კი სტარტი აიღეს ტანმოვარჯიშეებმა.

**ფეხბურთელთა** შეჯიბრებაში მონაწილეობენ თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, გორისა და ფოთის ნაკრები გუნდები, რომლებიც ერთ წრედ გაითამაშებენ პირველობას. I ტურში თბილისელებისა და ქუთაისელების შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0. აფხაზეთის გუნდმა დაამარცხა აჭარის ნაკრები (2:0), გორელებმა სძლიეს ფოთელებს — 3:0.

**ხელბურთელ** გოგონათა და ჭაბუკთა შეჯიბრებებშიც 6-6 გუნდი მონაწილეობს და ისინიც ერთ წრედ გაითამაშებენ პირველობას. აი, პირველი დღის შეხვედრათა შედეგებიც: გ ო გ ო ნ ე ბ ი. ფოთი — აჭარა 16:12, აფხაზეთი — რუსთავი 10:8, თბილისი — ქუთაისი 19:10; ჭ ა ბ უ კ ე ბ ი. აჭარა — აფხაზეთი 28:18, ფოთი — ქუთაისი 30:29, თბილისი — სამხრეთ ოსეთი 26:20.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: თბილისისა და ქუთაისის ფეხბურთელთა და ხელბურთელ გოგონათა გუნდების შეხვედრების მომენტები.

ი. იუნაევის ფოტოები.

## რეკორდები

**ელ-პასო** (ტეხასის შტატი), **24 მაისი.** აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ჭოკით მხტომელთა სპეციალურმა შეჯიბრებამ. ტურნირის ორგანიზატორები ამაოდ არ დამშვრალან: ერთბაშად ორმა მძლეოსანმა — ამერიკელმა ბ. სიგრენმა და შვედმა ჩ. იზაქსონმა 5 სანტიმეტრით გააუმჯობესეს ამ ერთი თვის წინათ იზაქსონის მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდი.

ორივე სპორტსმენმა მესამე ცდით 559 სმ სიმაღლე გადალახა.





ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ტურისტულ ბილიკებზე.
დ. კახურაშვილის ფოტო.

# ფართო გზა ტურიზმს!

ჩვენს რესპუბლიკაში თითქოს საგანგებოდაა შექმნილი პირობები საიმისოდ, რომ ადამიანმა დაისვენოს და დატკბეს ბუნებით, რომელიც შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ჰარმონიის, უსასრულო მრავალმხრივობისა და იშვიათი სილამაზის მაძიებელთათვის. ამიტომ არცაა გასაკვირი, თუ საქართველო დასერილია სხვადასხვა ტურისტული მარშრუტით. აქ შეხვდებით საქართველოს სამხედრო გზითა თუ კახეთში, სამხრეთ საქართველოსა თუ კოლხეთში, კავკასიონის უღელტეხილების გზებსა თუ თბილისის შემოგარენში მოგზაურთ. ათასობით ტურისტი საბჭოთა ქვეყნის რომელიც გნებავთ რესპუბლიკიდან მოგზაურობს ჩვენში სხვადასხვა საშუალებით — ავტომობილით თუ ველოსიპედით, მოტოციკლით თუ ქვეითად.

რა თქმა უნდა, უცხო თვალისთვის პირველად დანახული საქართველოს ბუნება უდიდეს ინტერესს იწვევს. ბევრს მიაჩნია, რომ ტურიზმი უპირველეს ყოვლისა კულტურული დასვენების ერთ-ერთი საშუალებაა. მაგრამ ამავე დროს დავძენდით, რომ იგი წარმოადგენს ადამიანის ჰარმონიული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებასაც. ტყუილად როდი გვირჩევენ ექიმები ქალაქში მცხოვრებლებს რაც შეიძლება მეტი იარეთ ფეხითო. მაგრამ როდესაც ფეხით სიარული გადაიქცევა წინასწარ მოფიქრებულ, მიზანდასახულად დაგეგმილ ლაშქრობად, მას, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია ადამიანისთვის.

სწორედ ეს საკითხები დგას ტურიზმის რესპუბლიკურ საბჭოში, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე თავის რიგებში აერთიანებს 120 ათას კაცს 85 ტურისტულ კლუბში, რომელთაგან 12 საქალაქო მნიშვნელობისაა, 65 — რაიონული, ხოლო 8 — საუწყებო. ამას გარდა, საბჭოს შემადგენლობაში შედის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნისა და ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კლუბები.

ტურიზმის მრავალფეროვნების სპეციფიკიდან გამომდინარე, საბჭოში ჩამოყალიბებულია მთებში მოსიარულეთა, სპელეოტურიზმის, ავტო-მოტო-ველოტურიზმის, საწყლოსნო ტურიზმის სექციები, რომლებსაც გამოცდილი სპორტსმენები ხელმძღვანელობენ. წინასწარ შედგენილი გეგმითა და მრავალმხრივი სქემებით რესპუბლიკური ტურისტული საბჭო იძლევა მითითებებს ისტორიულ და რევოლუციურ ადგილებში ლაშქრობებისთვის, აწყობს საკონსულტაციო და საკოორდინაციო შეკრებებს ამ ლაშქრობათა წარმატებით ჩატარებისთვის.

დასამალი როდია, რომ საქართველოში ბევრია ისეთი ადგილიც, რომლებიც თავიანთი ისტორიულ-გეოგრაფიული მნიშვნელობით შესანიშნავია, მაგრამ ამ ადგილებს ზოგჯერ ჩამოსული ტურისტები უფრო იცნობენ, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა. საბჭოს ტენდენციები სწორედ ამიტომაც მიმართულია იქითკენ, რომ თავის რიგებში რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ჩააბას ჩვენი რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურენი.

ურიგო არ იქნებოდა, რომ კლუბებს სათანადო, სპეციალური შენობები ჰქონდეს, რომლებიც მომარაგებული იქნებიან საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობებით.

ლ. მგალობლიშვილი,
სპორტის ოსტატი.

# რა ქნას კარგმა წყალბურთელმა?..

წყალბურთი რომ ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელი სპორტული სახეობაა, ეს აღმოჩენა როდია. მან კარგა ხანია მტკიცედ გაიდგა ფესვი, გამოჩნდნენ ძლიერი მოთამაშეები, გუნდები, და ამჟამად რესპუბლიკის სპორტის მოყვარულები ჩვენი წყალბურთელებისგან საკავშირო სარბიელზე წარმატებით გამოსვლას მოითხოვენ ჩვენ გვახარებდა 60-ანი წლების თბილისის „დინამო", რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი გახლდათ მთელს კავშირში, იყო საკავშირო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი. ქართველმა წყალბურთელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადეში. აქ მოხვეჭილი II, III ადგილები მოწმობდნენ, რომ საბჭოთა წყალბურთში საქართველოს მოწინავე პოზიციები ეკავა.

ჩვენში აღიზარდნენ და დიდ სარბიელზე გამოვიდნენ ისეთი ცნობილი წყალბურთელები, როგორიც არიან პ. მშვენიერაძე, ნ. გვახარია, გ. ჩიქვანაია, ლ. გოგოლაძე, ო. მიმინოშვილი, ვ. სანაძე, ი. სხირტლაძე, ვ. ისელიძე და ბევრი სხვა. ზემოჩამოთვლილი სპორტსმენების უმრავლესობას ბევრჯერ დაუცავს სსრ კავშირის ნაკრების ღირსება. ქართველი სპორტსმენების წარმატება მხედველობიდან არ გამორჩენიათ მოსკოველ სპეციალისტებსა თუ მწვრთნელებს. ამიტომ იყო, რომ წლების განმავლობაში მოსკოვის „დინამოს" ღირსებას იცავდნენ პ. მშვენიერაძე, ნ. გვახარია, ზ. ჩაჩავა, გ. ხარებოვი, მოსკოვის „ტორპედოში" კი ახლაც გამოდის ი. სხირტლაძე. ასე რომ, საქართველოს წყალბურთელთა ექსპორტი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საკმაოდ დიდი იყო. მიუხედავად ამისა, ჩვენი წამყვანი კოლექტივი—„დინამო" საკავშირო ჩემპიონატებში მაინც წარმატებით უმკლავდებოდა ძლიერ და აღიარებულ მეტოქეებს.

და აი, გუნდში კრიზისი დაიწყო. ეს მოულოდნელი არავისთვის იყო. ვეტერანებმა თავიანთი საქმე გააკეთეს და გუნდში ადგილი ახალბედებს დაუთმეს. პირველ ხანებში ახალგაზრდებს ძალიან გაუჭირდათ, რომ მყარი აებათ გამოცდილი თანაგუნდელებისთვის. ამ პერიოდში წარუმატებლობამაც იმატა, მაგრამ ეს დროებითი იყო. წლევანდელ სეზონს თბილისის „დინამო" საკმაოდ მომზადებული შეხვდა, რაც სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველმა მატჩებმა დაამტკიცა. თბილისის „დინამომ" ოთხი შეხვედრიდან 3 მოიგო და მხოლოდ მოსკოველ მეზღვაურებთან დამარცხდა. კარველი წრის დასკვნითი მატჩების გასამართავად ჩემპიონატის მონაწილე კოლექტივები კიევს შეიკრიბნენ. უკრაინის დედაქალაქიდან არც თუ სასიხარულო ცნობები მოდიოდა. თბილისის დინამოელებმა რამდენიმე მოულოდნელი მარცხი იწვნიეს, მათ შორის, გათამაშების აუტსაიდერთანაც კი. ამის გამო რედაქციაში მკითხველთა ბევრი წერილი შემოვიდა. გულშემატკივრები გვთხოვდნენ აგვეხსნა მათთვის თბილისის „დინამოს" წარუმატებლობის მიზეზები.

ამ წერილის ავტორი ხშირად ყოფილა სსრ კავშირის ჩემპიონატების მოწმე, საკუთარი თვალით უნახავს ჩვენი უძლიერესი გუნდების თამაში და ერთი რამ ხშირად აკვირვებდა: არაკვალიფიციური მსაჯობის შემთხვევები. მახსოვს ხარკოვში ჩატარებულ საკავშირო ჩემპიონატში მთავარ მსაჯთა კოლეგია იმდენად უძლური გამოდგა სუსტი თუ არაობიექტური მსაჯობის წინააღმდეგ, რომ უკიდურეს და, ჩვენი აზრით, უცნაურ ზომას მიმართა: ამ მოვალეობიდან გაათავისუფლა არა ის არბიტრები, რომლებიც სუსტად თუ მიკერძოებით მსაჯობდნენ, არამედ ისინი, ვისაც ბრალი არაფერში ედებოდათ (ს. კოჩარიანი, ვ. გოიაშვილი და სხვ.). არც შარშანდელი ჩემპიონატის (ძერჟინსკი) პირველი წრის დროს იყო გამართლებული მსაჯთა მოქმედება, მაგრამ ეს მსჯელობის საგნად არ ქცეულა.

წყალბურთის მსაჯობა რომ ძნელი საქმეა, ამაში ეჭვი არავის ეპარება. სპორტის ამ სახეობის არბიტრი ზედმიწევნით დაკვირვებული, თავისი საქმის დიდი მცოდნე უნდა იყოს. წყალბურთში მოთამაშემ წესები შეიძლება წყალს ზემოთაც დაარღვიოს და წყალქვეშაც. ამიტომ განსაკუთრებით რთულია დამნაშავის განსაზღვრა. მსაჯის უპირველესი მოვალეობაა ურთულეს სიტუაციებში სწრაფად გაერკვეს. ზოგ შემთხვევაში არბიტრი იოლი გზით მიდის. იგი წამყვანი, აღიარებული კოლექტივის მხარეს იჭერს, ფიქრობს: რაც უნდა ისა თქვან პერიფერიების გუნდების მწვრთნელებმა და წარმომადგენლებმა, მთავარია, კმაყოფილი იყვნენ სსრ კავშირის ნაკრების მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდების ხელმძღვანელები, ცრონბული გუნდის მოთამაშეებიო. ეს უკანასკნელნი თავს არხეინად გრძნობენ, იციან, რომ მათთვის თამაშის დროს ყველაფერი დასაშვებია. ასეთ არასპორტულ საქციელს აუღელვებლად შესცქერიან ამ სახეობის მესვეურები, უღირს მსაჯებს არავინ სჯის და პრესაშიც მათს არაობიექტურობაზე არავინ წერს.

ჩვენი აზრით, სწორედ არაობიექტურმა მსაჯობამ, ვარსკვლავების მიმართ შემწყნარებლობამ განაპირობა საბჭოთა წყალბურთელების წარუმატებლობა საერთაშორისო სარბიელზე ამ ბოლო წლებში. სსრ კავშირის ნაკრების წევრები ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში მკაცრი და ობიექტური მსაჯობის ატმოსფეროში ექცევიან და შებოჭილად მოქმედებენ, უკვირთ უცხოელი მსაჯების მკაცრი ქცევა და ხშირად ამის გამო საყვედურსაც ამბობენ, ამტკიცებენ, რომ უცხოელი მსაჯები არაობიექტური არიან, წყალბურთელებს თავისუფალი მოქმედების საშუალებას უსპობენ. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ არის.

არაობიექტური მსაჯობის შემთხვევები კიევშიც იყო. მოსკოვისა და თბილისის „დინამოს" გუნდების შეხვედრას რატომღაც მოსკოველი არბიტრი ვ. რაშმაჯანი სჯიდა. ჩვენ რაშმაჯანის წინააღმდეგი როდი ვართ. იგი გამოცდილი და კვალიფიციური მსაჯია, ზედმიწევნით ერკვევა თამაშის სიტუაციებში, ამიტომაც არის, რომ სწორედ ის ხელმძღვანელობს წყალბურთის საკავშირო ფედერაციის მსაჯთა კოლეგიას. მაგრამ, მოგეხსენებათ, ადამიანი სუსტია და ხანდახან უჭირს ანგარიში არ გაუწიოს თავის კოლეგებს, ამხანაგებს, რომელთა შორის წლების განმავლობაში ტრიალებს და საქმიანობს. ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, რომ რაშმაჯანმა ყველა გზა გადაუკეტა თბილისელებს, არა, მაგრამ როცა მეტოქეები ერთმანეთს ტოლს არ უდებენ, მსაჯის მცირეოდენი მიკერძოებაც ხომ საკმარისია? ასეთი რამ შეიმჩნეოდა მოსკოველი მსაჯის მოქმედებაში, რამაც განაპირობა კიდეც თბილისის „დინამოს" წაგება.

მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდთან — გათამაშების ერთ-ერთ ლიდერთან თბილისის „დინამოს" მატჩის დასაწყისიდანვე ხელთ იგდო ბრძოლის სადავეები. ამაზე მეტყველებს ანგარიშიც — 3:1. სწორედ ამ მომენტში „შეცდა" შეხვედრის მსაჯი, ლენინგრადელი გ. პაშკინი. მან რამდენიმე „შეცდომა" დაუშვა (რასაკვირველია, მოსკოველთა სასარგებლოდ), რამაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი სტუდენტთა სასარგებლოდ.

ყველაფერს გადააჭარბა თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" შეხვედრის დროს მომხდარმა ამბავმა: უნდა ემსაჯა ერევნელ ს. კოჩარიანს. იგი თავისი მოვალეობის შესასრულებლად მოემზადა კიდეც, მაგრამ მეტოქეები საასპარეზოდ გამოიძახა არა კოჩარიანმა, არამედ კიეველმა ნ. ტომოვმა. მსაჯმა ყველაფერი გააკეთა, რომ გათამაშებაში ცხრილის ბოლოში მყოფ გუნდს გამარჯვება ეზეიმა.

საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე დამთავრდა. წყალბურთელები ოქტომბერში გააგრძელებენ ასპარეზობას, მანამდე XX ოლიმპიურ თამაშებსა და სხვა საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა აქვთ განზრახული. თბილისისა და კიევის მატჩში კარგად ითამაშა თბილისის „დინამოს" დუეტმა — ვ. ისელიძემ და ვ. სანაძემ. ისელიძე გათამაშების ერთპიროვნული ბომბარდირიც კი გახლდა — მოწინააღმდეგე გუნდების კარში უახლოეს მეტოქეზე ორჯერ მეტი ბურთი გაიტანა. მაგრამ ოლიმპიური ნაკრების კანდიდატების შერჩევისას ეს ორი სპორტსმენი არ დაუსახელებიათ. სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელები, ეტყობა, იოლი გზით ფონს გასვლას ამჯობინებენ. ისინი ასე ფიქრობენ: ორი წამყვანი გუნდიდან—სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბიდან და მოსკოვის უნივერსიტეტიდან ნაკრებში 6-6 წყალბურთელს შევიყვანთ. მათ არც თამაშის ტექნიკა აკლიათ, არც ტაქტიკური აზროვნება. რატომ გავირთულოთ საქმე, სხვადასხვა გუნდის უძლიერესი სპორტსმენები რატომ მოვიწვიოთო?

როგორც სპორტის სხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ჰოკეი და ა. შ.), წყალბურთშიც სსრ კავშირის ნაკრები სხვადასხვა კოლექტივის უძლიერესი სპორტსმენებით უნდა შედგეს. ასე იყო წინა წლებში და ამან სასურველი შედეგიც გამოიღო: სსრ კავშირის ნაკრები ორჯერ იყო ევროპის ჩემპიონი, იგებდა სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირს, ახლა კი ასე არ არის: უკვე მეორე წელია მას წარმატების სიხარული არ განუცდია წყალბურთის დიდ სარბიელზე.

ისე არ გამიგოთ, თითქოს თბილისის „დინამოს" გუნდში ყველაფერი რიგზე იყოს. არა, კოლექტივის გაძლიერებისთვის კიდევ ბევრი შრომაა საჭირო. ახალგაზრდა წყალბურთელებმა მეტი გამბედაობით უნდა იმოქმედონ, სწრაფად გაერკვნენ სარბიელზე შექმნილ რთულ სიტუაციებში. ჩვენი გუნდის ერთ-ერთი სერიოზული გამოცდა იქნება მინსკის საერთაშორისო ტურნირი, სადაც საქართველოს დინამოელები ევროპის უძლიერეს კოლექტივებს შეხვდებიან. თბილისის „დინამომ" ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის კარგა ხანია დაიწყო მზადება. მაგრამ მოახლოვდა თუ არა მინსკის ტურნირი, კიევში „დინამოს" იუნიორ წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი გაიმართა. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა და I ადგილი დაიკავა თბილისის „დინამომ", რომლის შემადგენლობაში ოსტატთა გუნდის მოთამაშეთა უმრავლესობა გამოდიოდა. ამან ერთგვარად ხელი შეუშალა თბილისის „დინამოს" სამზადისს მინსკის ტურნირისთვის. საჭირო კი იყო „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობას სხვა გამოსავალი გამოენახა. მაშინ რესპუბლიკის საუკეთესო გუნდი უფრო სრულყოფილად მოემზადებოდა მინსკის ბატალიებისთვის.

ზ. ჯაფარიძე.

## რაიონებში [illegible]

### გულრიფში

საინტერესოდ ჩატარდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები მაგიდის ჩოგბურთში, კალათბურთსა და თავისუფალ ჭიდაობაში. მაგიდის ჩოგბურთში ყველას აჯობეს მერხეულის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა (ფიზაღზრდის მასწავლებელი რ. კონსუზიანი). კალათბურთში ჩემპიონი გახდა დრანდის რუსული საშუალო სკოლის გუნდი (ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. კაჭარავა), თავისუფალ ჭიდაობაში კი დრანდის სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლებმა იმარჯვეს. წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაიკავეს: გ. სულაბერიძემ, ვ. წერედიანმა, ვ. ჯორჯიკიამ, გ. შანგუამ, დ. გოგუამ, ს. ბუიუკლიანმა, შ. აგაბაბიანმა, დ. გაბელაიამ, კ. გედენიძემ, ვ. ცეკვავამ.

შ. ჯალაღონია.

## სპორტული ცხინვალი

„კოლმეურნის" საოლქო საბჭოს თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ზნაურის რაიონის ავნევისა და ცხინვალის რაიონის დმენისის ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს ავნეველებმა — 1:0.

• • •

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საოლქო პირველობაში 45 სპორტსმენი ცდიდა ძალას. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: გ. კაჯაევმა (ჯავა), ვ. ქუმარიტოვმა (ცხინვალი), ვ. თედეევმა, ხ. ცხოვრებოვმა (ორივე — ჯავა), ა. მარგიევმა (ცხინვალი), რ. ვალიევმა (ცხინვალის რაიონი), თ. სანაკოევმა (ცხინვალი), შ. ფლიევმა (ჯავა), ლ. ქესაევმა (ცხინვალი). ქვემძიმე წონაში შეჯიბრება არ ჩატარებულა. გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაისაკუთრა ცხინვალის ნაკრებმა. II ადგილი წილად ხვდათ ჯაველებს.

• • •

ცხინვალელ ძალოსანთა ჩემპიონატში თავი ისახელეს უ. ძაგოევმა (მე-11 საშუალო სკოლა), ბ. ქიოტაშვილმა (მე-4 საშუალო სკოლა), ხ. ფუხაევმა („სპარტაკი"), თ. ზასეევმა (მე-3 საშუალო სკოლა), ნ. დოგუზოვმა („განთიადი").

შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა საშუალო წონის ათლეტი, სპარტაკელი მ. ძასოხოვი. მან 165 კგ აჰკრა, რაც იუნიორთა რესპუბლიკური რეკორდია.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

## „ლელოს" გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ამას წინათ რედაქციამ ზუგდიდიდან წერილი მიიღო. გვწერდნენ, რომ ამ ქალაქში საცურაო აუზი არ არის. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტს.

მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მეუნარგია გვატყობინებს, რომ ქალაქის საბჭომ მდგომარეობის გამოსწორებისთვის სათანადო ღონისძიება დასახა: შედგენილია აუზის პროექტი, ხარჯთაღრიცხვა. ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე გამოყოფილია ნაკვეთი აუზის ასაგებად.




# საბჭოთა ოლიმპიელები — ფინალში

პარიზი, 25 მაისი. საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიპოვეს ოლიმპიურ ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მას შემდეგ, რაც აქ ევროპის I შესარჩევი ჯგუფის დასკვნით მატჩში ანგარიშით 3:1 დაამარცხეს საფრანგეთის ნაკრები.

მატჩი მიმდინარეობდა პარიზის კარგად რეკონსტრუირებულ, თანამედროვე ტიპის „პარკ დე პრენსის" სტადიონზე. საბჭოთა გუნდს სავრძნობი უპირატესობა ჰქონდა. ანგარიში 42-ე წუთზე შესანიშნავი დარტყმით გახსნა მაჩაიძემ, ხოლო მომდევნო ორი გოლი შესვენების შემდეგ გაიტანა ბლოხინმა. ერთადერთი საპასუხო ბურთი გაიტანა ტონელმა.

საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ოლეინიკი, სეროსტანოვი, გოლუბევი, პოტოჩნიაკი, ზვიაგინცევი, ვერემეევი, მაჩაიძე (ბურიაკი), ხანაზანიანი (მირიკოვი), გუცაევი, გ. ნოდია, ბლოხინი.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ფეხბურთელები 1956 წლის შემდეგ, როცა ოლიმპიური ოქროს მედლები მოიპოვეს, აღარ გამოსულან ოლიმპიადის ფინალურ ტურნირებში.

* * *



სურათზე: ვ. გუცაევი (მარჯვნივ) მორიგი გარღვევის დროს.

ტელეეკრანიდან გადაიღო ა. კოტორაშვილმა.

## „არარატთან" — 30 მაისს

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა კალენდარული მატჩი ერევნის „არარატთან" სსრ კავშირის პირველობაზე დანიშნული იყო 29 მაისისთვის. ვინაიდან თბილისელთა ხუთი მოთამაშე ამ დღეებში გამოდიოდა სსრ კავშირის ოლიმპიური და პირველი ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეხვედრებში, „დინამოს" ხელმძღვანელობამ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას მატჩის ერთი დღით გადატანა სთხოვა.

ფედერაციამ თხოვნა დააკმაყოფილა: თბილისის „დინამო" ერევანში 30 მაისს ითამაშებს.

## სსრ კავშირის პირველობა

### I ლიგა

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" | 9 | 6 | 1 | 2 | 14—5 | 13 |
| „შახტ." (დ.) | 10 | 4 | 5 | 1 | 13—5 | 13 |
| „ფახთაქორი" | 10 | 5 | 3 | 2 | 10—8 | 13 |
| „პამირი" | 10 | 5 | 3 | 2 | 10—10 | 13 |
| „ზვეზდა" | 9 | 4 | 4 | 1 | 8—3 | 12 |
| „შინიკი" | 10 | 5 | 2 | 3 | 10—8 | 12 |
| „სპარტაკი" | 10 | 5 | 1 | 4 | 14—14 | 11 |
| „ჩერნომორ." | 8 | 4 | 2 | 2 | 16—8 | 10 |
| „ავტომობ." | 9 | 3 | 4 | 2 | 10—7 | 10 |
| „კრ. სოვეტ." | 9 | 1 | 8 | 0 | 10—9 | 10 |
| „შახ." (უ.) | 9 | 3 | 4 | 2 | 8—7 | 10 |
| „მეტალისტი" | 10 | 3 | 4 | 3 | 12—12 | 10 |
| „მეტალურგი" | 9 | 2 | 4 | 3 | 11—10 | 8 |
| „ალგა" | 10 | 1 | 6 | 3 | 8—7 | 8 |
| „კრივბასი" | 9 | 2 | 3 | 4 | 9—16 | 7 |
| „დინამო" | 9 | 2 | 2 | 5 | 7—11 | 6 |
| „ნისტრუ" | 8 | 2 | 2 | 4 | 4—9 | 6 |
| „სტროიტელი" | 10 | 2 | 2 | 6 | 10—20 | 6 |
| „ურალმაში" | 9 | 1 | 3 | 5 | 9—12 | 5 |
| „ტექსტილ." | 9 | 0 | 3 | 6 | 6—18 | 3 |

### II ლიგა III ზონა

25 მაისს გაიმართა მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

#### ფოთი

ტირასპოლის „ზვეზდასთან" შეხვედრაში ფოთელი ფეხბურთელები სრული უპირატესობით თამაშობდნენ ორივე ტაიმის განმავლობაში. ჯერ კიდევ შესვენებამდე ანგარიშის გახსნის საუკეთესო შანსები ჰქონდათ არზიანს, როხვაძეს და სხვ. მაგრამ სტუმრებმა, რომელთა დაცვაში ხშირად 7-8 მოთამაშეს ვხედავდით, შეძლეს კარის გადარჩენა.

ასევე იყო მეორე ტაიმშიც. მართალია, „კოლხეთის" მეკარე მარინს მოუხდა ერთი ძალიან ძნელი ბურთის აღება, უპირატესობა კვლავინდებურად ნახპინძელთა მხარეს იყო. კვარაცხელიამ და სანაიამ დაკარგეს ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობანი და საბოლოოდ ფოთელები იძულებული იყვნენ ფრეს დასჯერებოდნენ — 0:0.

ბ. ბასილაია.

#### რუსთავი

ადგილობრივმა „მეტალურგმა", როგორც იქნა, „გამოიღო ხელი" და შეძლო 2 ქულის აღება ნოვომოსკოვსკის „ხიმიკთან" მატჩში. მასპინძლებმა წინა შეხვედრებთან შედარებით უკეთ ითამაშეს. ეს განსაკუთრებით ეხებათ ალადაშვილსა და სიჭინავას.

მე-15 წუთზე „ხიმიკის" საჯარიმო მოედანზე შექმნილი არეულობით კარგად ისარგებლა ალადაშვილმა და ზუსტად გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში — 1:0.

მეორე ტაიმში მეტალურგები კვლავ უტევდნენ და 77-ე წუთზე კარგად გათამაშებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ (კორაშვილი — ალადაშვილი) სტუმართა კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა.

ეს ანგარიში „მეტალურგმა" ვერ შეინარჩუნა: მატჩის დასასრულს ერთი საპასუხო ბურთი მიიღო ხაზოვისგან.

რ. გაბრიჭიძე.

ასე დამთავრდა: „დრუჟბა" (მაიკოპი) — „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) 1:0, „დინამო" (სოხუმი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 0:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (ბრიანსკი) 4:2, „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „სალუტი" (ბელგოროდი) 2:0, „შრომითი რეზერვები" (კურსკი) — „ტრუდი" (ვორონეჟი) 2:2, „მერცხალი" (მახარაძე) — „სპარტაკი" (ორითლი) 3:2, „დილა" (გორი) — „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) 2:0.

# სკანდალური მატჩი

## ათასობით მთვრალი გულშემატკივარი მინდორზე

### უნდა გადათამაშდეს!

ბარსელონა, 25 მაისი. (საკდესი). ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი მოსკოვის „დინამოსა" და შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსს" შორის დამთავრდა ანგარიშით 3:2 შოტლანდიელთა სასარგებლოდ. მაგრამ მოსკოვის „დინამოს" ხელმძღვანელობამ იმავე დღეს, 24 მაისს, პროტესტი განაცხადა და შეხვედრის გადათამაშება მოითხოვა. ათასობით შოტლანდიელი გულშემატკივარი, რომლებიც ბარსელონაში იყვნენ ტურისტებად ჩამოსული, რამდენიმეჯერ გადმოცვივდნენ მინდორზე, ხელს უშლიდნენ თამაშის ნორმალურ მსვლელობას და ბოლოს ფაქტიურად ჩაშალეს კიდეც მატჩი. ისინი ბოთლებს ესროდნენ საბჭოთა ფეხბურთელებსა და ადგილობრივ პოლიციელებსაც.

— ჩვენ, — განაცხადა „დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა კ. ბესკოვმა, — ფეხბურთის ასოციაციათა ევროპული კავშირის ობიექტურობის იმედი გვაქვს, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ფინალის ხელახლა ჩატარების თაობაზე.

* * *

საკდესის კორესპონდენტი მ. არტიუშენკოვი ბარსელონიდან იუწყება: თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი მოსკოვის „დინამოსა" და შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსს" შორის უნდა გადათამაშდეს, — ასეთია „დინამოს" ხელმძღვანელობის მტკიცე აზრი. მატჩი ფაქტიურად ჩაშალეს მთვრალმა შოტლანდიელმა გულშემატკივრებმა იმ მომენტში, როცა მოსკოველები ერთობ ახლოს იდგნენ წარმატებასთან. „მატჩი გაპროტესტებულია", — განაცხადეს დინამოელთა უფროსმა მწვრთნელმა კ. ბესკოვმა და გუნდის უფროსმა ლ. იაშინმა.

— მატჩი მიმდინარეობდა არანორმალურ პირობებში, — ხაზი გაუსვა ბესკოვმა. — ბარსელონაში ჩამოსული 20 ათასი შოტლანდიელი გულშემატკივრიდან ბევრი არაერთხელ გადმოიჭრა მინდორზე და ხელი შეუშალა თამაშის ნორმალურ მსვლელობას. ფსიქოლოგიურმა დაწოლამ, ბუნებრივია, დასაწყისიდანვე მოახდინა გავლენა მატჩის მსვლელობაზე. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო მაყურებელთა საქციელი მეორე ტაიმის დასასრულს, როცა ჩვენს გუნდს დიდი უპირატესობა და ყველა შანსი ჰქონდა წარმატების მოსაპოვებლად.

თამაში დამთავრებული არ იყო, ათასობით აღგზნებული შოტლანდიელი კი შემოიჭრა მინდორზე, ბოთლები ესროლა საბჭოთა მოთამაშეებს და ესპანელ პოლიციელებს. მთელი მინდორი ბოთლის ნამტვრევებით დაიფარა. ზოგიერთმა თავხედმა საბჭოთა ფეხბურთელებზე და ესპანელ პოლიციელებზეც კი მიიტანა იერიში.

— ოქმის მიხედვით, მატჩი „გლაზგო რეინჯერსის" გამარჯვებით დამთავრდა, — განაცხადა იაშინმა, — მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალური შედეგია. მართალია, პირველ ტაიმში ჩვენი ფეხბურთელები თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად თამაშობდნენ, მაგრამ მათზე გავლენა მოახდინა თავაწყვეტილ შოტლანდიელ გულშემატკივართა საქციელმა, რომლებიც თანამემამულეთა მიერ გატანილი ყოველი ბურთის შემდეგ გადმოდიოდნენ მინდორზე და ხელს უშლიდნენ თამაშის მსვლელობას.

მეორე ტაიმში დინამოელები უკეთ მოქმედებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ვაგებდით ანგარიშით 0:3, ჩვენმა ფეხბურთელებმა დიდი ნებისყოფა გამოიჩინეს და ორი ბურთი გაქვითეს (ეშტრეკოვი, მახოვიკოვი). შოტლანდიელ გულშემატკივართა აღმაშფოთებელი საქციელის გამო შეხვედრა კომედიურ სანახაობად იქცა.

ბესკოვი და იაშინი ამავე დროს აღნიშნავენ ესპანელ მაყურებელთა კორექტულ, ობიექტურ საქციელს მატჩის მსვლელობაში. მათ შეხვედრის ორგანიზატორების წუხილი გაიზიარეს პოლიციელთა დაჭრის გამო.

* * *

უნდა აღინიშნოს, რომ უეფა-ს უკვე ჰქონდა არანორმალურ პირობებში ჩატარებული მატჩის გადათამაშების პრეცედენტი. 1971 წლის ბოლოს იტალიის „ინტერნაციონალე" გფრ-ის „ბორუსიას" ეთამაშებოდა მის მინდორზე, დამარცხდა ანგარიშით 1:7 და გააპროტესტა მატჩი, ვინაიდან მის შედეგზე გავლენა მოახდინა თავაშვებულ მაყურებელთა საქციელმა, რომლებმაც მწყობრიდან გამოიყვანეს „ინტერის" ერთ-ერთი ფეხბურთელი.

უეფა-ს დისციპლინარულმა კომიტეტმა განიხილა პროტესტი და გააუქმა აღნიშნული შეხვედრის შედეგი. მისი დადგენილებით, „ბორუსია" 10 ათასი ფრანკით დაჯარიმდა, მატჩი კი გადათამაშდა.

* * *

ესპანეთის დედაქალაქის გაზეთები სავსეა ცნობებით თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩის შესახებ. კათოლიკური გაზეთი „ია" იტყობინება, რომ აღვირახსნილ შოტლანდიელ გულშემატკივართა მინდორზე გადმოსვლის შედეგად დაშავებულია 97 კაცი, მათ შორის, პოლიციელებიც. „ასეთია ტურისტ გულშემატკივართა გაუგონარი საქციელის სამწუხარო შედეგი ბარსელონის მინდორზე", — წერს კორესპონდენტი.

„წინასწარი გამოანგარიშებით, ბარსელონის სტადიონს ზარალი მოუვიდა 2 მილიონი პესეტის რაოდენობით. დამტვრეულია სკამები და სავარძლები, დაზიანებულია რამდენიმე სასაუზმე, სათამაშო მინდორი მოფენილი იყო ვისკის ბოთლებით. სტადიონზე იპოვეს რამდენიმე ათეული რკინის ჯოხი, კეტები, სამართებლები, რომლებიც „რეინჯერსის" მთვრალმა გულშემატკივრებმა გამოიყენეს პოლიციელთა წინააღმდეგ", — იუწყება გაზეთი.

ამას გარდა, შოტლანდიელი გულშემატკივრები ასევე ხულიგნურად იქცეოდნენ ქალაქის ქუჩებსა და პლაჟებზე. მათ დიდი ზარალი მიაყენეს ბარსელონის სასტუმრო „კალელა დე ლა კოსტას". გაზეთები იტყობინებიან, რომ რამდენიმე ათეული შოტლანდიელი დაპატიმრებულია.

სპორტული გაზეთი „მარკა" წერს, რომ ფეხბურთის ასოციაციათა ევროპული კავშირის პრეზიდენტი ვიდერკერი და ფედერაციის რამდენიმე წევრი იძულებული შეიქნენ გასახდელში დამალულიყვნენ. საყოველთაოდ მიღებული ნორმების საწინააღმდეგოდ, თასი „გამარჯვებულებს" გადაეცათ არა მინდორზე, არამედ სადღაც ტრიბუნაზე.

„მარკა" სათაურში ხაზს უსვამს, რომ შოტლანდიელმა გულშემატკივრებმა მინდვრის „ანექსია" და სკანდალი მოახდინეს სწორედ იმ მომენტში, როცა საბჭოთა ფეხბურთელები ახლოს იყვნენ წარმატებასთან.

### ამერიკელებიც აღნიშნავენ

ნიუ-იორკი, 25 მაისი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტოს კორესპონდენტი ბარსელონიდან იტყობინება:

როცა „დინამოსა" და „გლაზგო რეინჯერსის" ფეხბურთელთა მატჩის დამთავრებამდე 3 წუთი რჩებოდა და შოტლანდიელები ძლივს უმკლავდებოდნენ მეტოქის სწრაფ იერიშებს, სულ ცოტა ორი ათასმა შოტლანდიელმა გულშემატკივარმა გაარღვია პოლიციელთა დაცვა, შეიჭრა მინდორზე და თამაში შეაფერხა. ამ „ოკუპაციამ" საბჭოთა ფეხბურთელები კალაპოტიდან ამოაგდო, ხოლო „რეინჯერსის" მოთამაშეებს სული მოათქმევინა.

წესების თანახმად, ესპანელ მსაჯს ოროტის დე მენდიბილს შეეძლო თამაშის შეწყვეტა, მაგრამ მან ამჯობინა ცოტა ხანს დაეცადა, სანამ მინდორს დატოვებდნენ შემოჭრილი გულშემატკივრები და შემდეგ გასცა განკარგულება, რომ ფეხბურთელებს განევრძოთ თამაში დარჩენილი 3 წუთის მანძილზე.

ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის პრეზიდენტმა ვიდერკერმა (შვეიცარია) განაცხადა, რომ ბრბოს საქციელი „საზიზღარი იყო".

### შვეიცარიული გაზეთების აზრით

ჟენევა, 25 მაისი. (საკდესი). უეფა-ს საშტაბო ბინიდან მოვიდა ცნობა, რომ მოსკოვის „დინამოს" პროტესტი თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩის შედეგზე განიხილება ხვალ, როცა უეფა-ს ხელმძღვანელები შვეიცარიაში დაბრუნდებიან.

ზოგიერთი შვეიცარიული გაზეთი დღეს აღნიშნავს, რომ „დინამოს" კარში გატანილი სამი ბურთიდან ორი, ეტყობა, თამაშგარე მდგომარეობიდან გავიდა. მაგალითად, ამას წერს გაზეთ „ტრიბიუნ დი ჟენევის" სპეციალური კორესპონდენტი.

გაზეთი „სუისი" დასძენს, რომ თამაშის ბოლო წუთები სრულ ქაოსში მიმდინარეობდა, მას შემდეგ, რაც შოტლანდიის გუნდის ქომაგებმა ჯერ კიდევ ფინალურ სასტვენამდე დაიპყრეს მინდორი. პოლიციელები ცდილობდნენ დაეძლიათ აღგზნებულ გულშემატკივართა წინააღმდეგობა, მაგრამ სტადიონზე სპორტული შეჯიბრების ნაცვლად ნამდვილი არეულობა სუფევდა.

### ესპანეთის პროტესტი

მადრიდი 26 მაისი. (საკდესი). ესპანეთმა ოფიციალური პროტესტი განუცხადა ინგლისს 20 ათასი შოტლანდიელი გულშემატკივრის აღმაშფოთებელი საქციელის გამო ფეხბურთის მატჩის დროს ბარსელონაში მოსკოვის „დინამოსა" და შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსს" შორის. ეს ცნობა გამოაქვეყნა ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა. შოტლანდიელ გულშემატკივართა აღვირახსნილი საქციელის გამო დაჭრილია 150 კაცი, მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიაყენეს სტადიონს, რამდენიმე სასტუმროსა და აეროპორტს.

### საკავშირო ფედერაცია მხარს უჭერს

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად დაუჭირა მხარი მოსკოვის „დინამოს" ხელმძღვანელობის პროტესტს უეფა-ს მისამართით იმის თაობაზე, რომ გადათამაშებული იქნეს თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი მოსკოვის „დინამოსა" და შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსს" შორის, რომელიც არანორმალურ პირობებში ჩატარდა შოტლანდიელ გულშემატკივართა ყოვლად უმსგავსი საქციელის გამო.

• •




◆ ბერნი, 26 მაისი. უეფა-ს დისციპლინარული კომიტეტი, როგორც ჩანს, 31 მაისს სასწრაფო სხდომაზე შეიკრიბება, რათა განიხილოს მოსკოვის „დინამოს" გუნდის პროტესტი „გლაზგო რეინჯერსთან" ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში მომხდარი ინციდენტის გამო. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ეს აქ გამოაცხადა უეფა-ს წარმომადგენელმა. მან თქვა, რომ უეფა-ს შტაბ-ბინა დისციპლინარული კომიტეტის წევრებს უკავშირდება, რათა ისინი როტერდამში, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩის დღეს, შეკრიბოს. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე სერჯიო ზორზი (შვეიცარია), ალბერტო ბარბე (იტალია), ჯუზეპე ბონიცი (მალტა), ვლადიმირ ტეტრი (ჩეხოსლოვაკია), ერკი პოროილა (ფინეთი), ლუი ვუტერსი (ბელგია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ობიექტივში მსოფლიო

უნგრეთის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრების წევრები ვარჯიშის დროს არც სპორტის სხვა სახეობებს ივიწყებენ: თამაშობენ ფეხბურთს, ერთმანეთს ეჯიბრებიან სიმძიმეების აწევაში, დარბიან, ერთმანეთს ეცილებიან, „ბავშვობის თამაშებს" იხსენებენ.

• • •

სურათზე: ნაკრების მწვრთნელი გურიჩი თვალს ადევნებს მოჭიდავეთა მორიგ მეცადინეობას.

ლ. პეტროვიჩის (უნგრეთი) ფოტო.





ცნობილმა ესპანელმა მძიმე წონის მოკრივემ ხოსე-მანუელ ურტაინმა ლონდონში ინგლისელ ჰენრი კუპერთან წააგო და ევროპის ჩემპიონის ტიტული გამოეთხოვა. ბრძოლის შემდეგ ესპანელმა მელვინეებმა იგი მურსიაში მიიპატიჟეს, სადაც ცნობილი ადგილობრივი ღვინით „ხერესით" ცდილობდნენ მისი სევდის გაქარვებას. როგორც ხედავთ, ეს შეძლეს კიდეც. ესპანეთის სააგენტო „სიფრა" აღნიშნავს, რომ ბანკმა ურტაინმა კუპერისგან მიღებული ყოველი დარტყმის მოსაგონებლად (ასეთი დარტყმა კი საკმაოდ ბევრი იყო) თითო სასმისი შესვა.

• • •

სურათზე: ურტაინი ამ სასიამოვნო პროცედურის დროს.

„სიფრას" ფოტო.

## წაგება დაბადების დღეს

მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში მოეწყო კიდევ ორი ტური.

**XIII ტური:** ი. მანაშეროვი (ხაშური) — დ. გედევანიშვილი (თბილისი) 0:1, გ. ბიბილაშვილი (გარდაბანი) — პ. შაქარიანი (თბილისი) 1:0, ლ. კერნაჟიცკი (ბათუმი) — ა. ბალავაძე (რუსთავი) 1:0, ე. მიქაელიანი (თბილისი) — რ. დადიანი (სოხუმი) 1:0, ა. ბუსლაევი — ნ. ჩახოიანი (ორივე—თბილისი) 1:0, ა. რაზოვსკი (ქუთაისი) — ა. ტუზოვსკი (სოხუმი) 1:0, თ. გიორგაძე — დ. ჯანოევი 0,5:0,5. გადაიდო პარტიები: ე. უბილავა (სამივე — თბილისი) — ლ. ნეურონოვი (ბათუმი) და ზ. მიქაძე (გუდაუთა) — მ. არჩვაძე (სამტრედია).

შეჯიბრების ლიდერი გიორგაძე ჯანოევს შეხვდა. ამ უკანასკნელს ბრძოლის გამწვავება არ უცდია, რაც გიორგაძეს ხელს აძლევდა და მალე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ბუსლაევმა დებიუტში დიდი პოზიციური უპირატესობა მიიღო ჩახოიანთან, ცენტრში პაიკები აამოძრავა და თამაშის სიმძიმე მეფის ფლანგზე გადაიტანა. მან დროებით შესწირა ფიგურა, მოსაგები პოზიცია მიიღო და გაიმარჯვა კიდეც. ბიბილაშვილ — შაქარიანის პარტიაში თეთრებმა გრძელი როქი გააკეთეს და პირდაპირი იერიში წამოიწყეს მეტოქის მეფეზე. შავები კარგად ვერ იცავდნენ თავს, მატერიალურად დაზარალდნენ და დამარცხდნენ. ესპანურ პარტიაში კერნაჟიცკისთან ბალავაძემ მწვავე ვარიანტი აირჩია, შექმნილ სიტუაციაში ვერ გაერკვა და უკვე მე-14 სვლაზე დანებდა. რაზოვსკიმ დებიუტში მეფე ცენტრში დატოვა და ტუზოვსკის მეფეს შეუტია. სოხუმელმა მეფე საიმედოდ ვერ დაიცვა. ამ დღეს დადიანს 18 წელი შეუსრულდა. ახალგაზრდა მოჭადრაკის დასამშვიდებლად გვინდა ვთქვათ, რომ დიდი ოსტატები თავიანთ დაბადების დღეს პარტიას ყოველთვის აგებდნენ (მაგალითად, ალიოხინი, კაპაბლანკა და სხვ.). დადიანს, როგორც ჩანს, არ სურდა ეს „ტრადიცია" გაეგრძელებინა და შუა თამაშში მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. მიქაელიანი „ულმობელი" აღმოჩნდა, ახალგაზრდა მოჭადრაკე არ დაინდო და 36-ე სვლაზე დაამარცხა. მანაშეროვ — გედევანიშვილის შეხვედრაში მეტოქეებმა ადრევე გაცვალეს ლაზიერები. პარტია თითქოს ყაიმით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ თეთრებმა რამდენიმე პატარა შეცდომა დაუშვეს, რაც შავებმა კარგად გამოიყენეს და 35-ე სვლაზე მანაშეროვის მეფე დაამარცხეს.

**XIV ტური:** შაქარიანი — მანაშეროვი 0:1, ჩახოიანი — მიქაელიანი 0:1, ჯანოევი — ბუსლაევი 1:0, გედევანიშვილი — რაზოვსკი 0,5:0,5, უბილავა — გიორგაძე 0,5:0,5, ტუზოვსკი — მიქაძე 0,5:0,5. გადაიდო პარტიები: ბალავაძე — ბიბილაშვილი, დადიანი — კერნაჟიცკი და ნეურონოვი — არჩვაძე.

ბუნებრივია, რომ ტურში ყველაზე მეტ ყურადღებას უბილავა — გიორგაძის შეხვედრა იპყრობდა. გათამაშდა სიცილიური პარტიის დრაკონის ვარიანტი. უბილავამ უზუსტოდ გაითამაშა სადებიუტო ნაწილი და ცენტრში პაიკი დაკარგა. შემდეგ შავებმა ყურადღება მოადუნეს და უბილავამ პაიკი დაიბრუნა. რთულ პოზიციაში, როცა ბრძოლა ჯერ კიდევ წინ იყო, მეტოქენი მოულოდნელად ყაიმზე შეთანხმდნენ. პირველი გამარჯვება იზეიმა მანაშეროვმა. ჯანოევმა პერსპექტიული პოზიცია მიიღო დებიუტში ბუსლაევთან. თანაც, ეს უკანასკნელი აზარტულად თამაშობდა: ჯერ ხარისხი შესწირა, შემდეგ ისევ ხარისხი შესთავაზა მეტოქეს. ჯანოევმა ორივეჯერ მიიღო შეთავაზებული, კარგად დაიცვა თავი და ბუსლაევის მეფეს შეუტია.

14 ტურის შემდეგ დამაჯერებლად ლიდერობს გიორგაძე — 11,5 ქულა. დარჩენილ სამ შეხვედრაში მას ყაიმებიც ჰყოფნის რესპუბლიკის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად. 9,5 ქულა მოაგროვა ჯანოევმა. 8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს უბილავას, ამდენივე ქულა — მიქაელიანს, 8 ქულა — ბუსლაევს.

ა. ბლაგიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
ა. ცეხანელი.

• •

## 2 ქულაც ჰყოფნის

მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში გაიმართა X ტური და მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

X ტურში ნ. ბალაშვილმა (თბილისი) მოუგო მ. ჩიბურდანიძეს (ქუთაისი), ც. კახაბრიშვილმა — ნ. ხუბულურს. ქ. გეგიძემ წააგო ნ. ჩიქობავასთან. ყაიმით დამთავრდა პარტიები: თ. კაჭარავა — მ. მამისთვალოვა, დ. ქობალია — ე. ბაშინჯაღიძე (ყველა — თბილისი). ორი პარტია გადაიდო.

ოთხი პარტია ჰქონდა დასამთავრებელი ს. კალანდარიშვილს (თბილისი). მან დაამარცხა კახაბრიშვილი, ბალაშვილი, წააგო თ. ხუგაშვილთან (თბილისი) და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა გეგიძესთან. ბაშინჯაღიძემ წააგო კახაბრიშვილთან, გეგიძემ — ჩიქობავასთან. მ. გაგლოევამ მოუგო მ. წერეთელს (ორივე — თბილისი).

ბოლო 3 ტურის წინ ერთპიროვნულად ლიდერობს ხუგაშვილი — 8,5 ქულა. 7-7 ქულა აქვთ კახაბრიშვილს, კალანდარიშვილსა და კაჭარავას. დარჩენილ სამ პარტიაში ხუგაშვილს 2 ქულაც ჰყოფნის რესპუბლიკის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად.

## ახალი ამბები-72

● ორხუსი, 25 მაისი. „ურჩხულის" კლასში ევროპის ჩემპიონმა, გდრ-ის აფროსანმა პ. ბოროვსკიმ თავის ტიტულებს დანიის ღია ჩემპიონატის ოქროს ლაურეატის წოდებაც მიუმატა. მას 15,7 საჯარიმო ქულა დაუგროვდა ხუთ რბოლაში (მეექვსე რბოლა უქარობის გამო არ გამართულა). ფინაიდან ტურნირში ბევრი უძლიერესი აფროსანი გამოდიოდა, ბოროვსკის აქ მოპოვებული წარმატების გამო მომავალი ოლიმპიადის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ასახელებენ „ურჩხულის" კლასში.

● საპორო, 25 მაისი. იაპონიაში სტუმრად მყოფმა სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა აქ მეოთხე ამხანაგური მატჩი გამართა ქვეყნის ეროვნულ გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 3:2.

● მიუნხენი, 25 მაისი. მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა მშვილდოსანმა ქალმა ე. გაპჩენკომ ყველას აჯობა აქ მოწყობილ საერთაშორისო ტურნირში. „მ-1" ვარჯიშში მან მაღალ შედეგს მიაღწია — 1179 ქულა დააგროვა. II ადგილზე გავიდა მსოფლიო რეკორდსმენი ი. შიდლოვსკა (პოლონეთი) — 1168 ქულა, III — უ. ბუშკინგი (გფრ) — 1126. ვაჟთა ტურნირში გაიმარჯვა დანიელმა ა. იაკობსენმა — 1235 ქულა. II ადგილი დაიკავა ფინელმა კ. ლაასონენმა (1213), III — კიეველმა ვ. სიდორუკმა (1199).

● ლოძი, 25 მაისი. პოლონეთისა და რუმინეთის მოჭადრაკე ქალთა გუნდების აქ გამართული ამხანაგური მატჩი რუმინელთა გამარჯვებით დამთავრდა — 24,5:11,5.

● კელცე, 25 მაისი. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან პოლონეთის განთავისუფლებისთვის ბრძოლაში დაღუპული საბჭოთა კავშირის გმირის, პოლკოვნიკ ვ. სკოპენკოს სახელობის ტრადიციული მრავალდღიანი საერთაშორისო ველორბოლის ტრასა წლეულს პირველად გაივლის კელეცკის სავოევოდოდან უკრაინაში. დღეს აქ 830-კილომეტრიან გზას (მარშრუტი: კელცე — სანდომირი — ოპატუვი — სანდომირი — პშემისლი — მოსტისკა — ლვოვი — ტერნოპოლი — როვნო) 13 გუნდის, მათ შორის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, ბულგარეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის არმიების ველოსიპედისტები დაადგნენ. სტარტის წინ სპორტსმენებმა პოლკოვნიკ სკოპენკოს საფლავი გვირგვინებით შეამკეს. ეტაპების შემდეგ ველორბოლის მონაწილენი ახლომდებარე ქალაქებისა და სოფლების მშრომელებს შეხვდებიან, გაიმართება პოლონეთ — სსრ კავშირის მეგობრობისადმი მიძღვნილი მიტინგები, სოფლის ახალგაზრდობის შეკრებები, გამოფენები, ბაზრობები. პოლონეთ — სსრ კავშირის საზღვარს მოასპარეზეები პშემისლ — მოსტისკის ეტაპზე გადაკვეთენ. ველორბოლის ფინიში უკრაინის ქალაქ როვნოში გაიმართება 31 მაისს.

● ტულა, 25 მაისი. რუსეთის ფედერაციისა და ჩეხოსლოვაკიის ველოსიპედისტთა მატჩში წარმატებას მიაღწია სსრ კავშირის წარმომადგენელმა, მსოფლიო ჩემპიონმა ე. რაპმა, რომელმაც გრილ, ქარიან ამინდში კარგი შედეგით გაიმარჯვა 1 კილომეტრზე გიტში — 1.09,4. მასპინძლებმა მოიგეს, აგრეთვე, გამოდევნებით გუნდური რბოლა — 4.37,7. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს სსრ კავშირში. გამოთიშვით გუნდურ რბოლაში ასევე რსფსრ-ს წარმომადგენლებმა იმარჯვეს. ტულელი ი. კოპი საუკეთესო იყო 33 საშუალედო ფინიშით 100 წრეზე ჯგუფურ რბოლაში. სტუმრებმა თავი გამოიჩინეს სპრინტში (გაიმარჯვა ვ. ვაჩკარჟმა) და გამოდევნებით პირად რბოლაში. აქ საუკეთესო იყო ზ. დოგნალი — 5.09,8.

● ვოროშილოვგრადი, 25 მაისი. მოსკოვის „აეროფლოტის" კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა ორჯერ სძლია ადგილობრივ „ავტომობილისტს" და მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის (რტი) კოლექტივთან ერთად უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. „ავტომობილისტი" ვოროშილოვგრადის უკვე მეოთხე გუნდია, რომელიც უმაღლესი ლიგის ოსტატთა რიგებში ჩადგა. ქალაქის ღირსებას წარმატებით იცავს „ზარიას" ფეხბურთელთა გუნდი, „ზვეზდის" ფრენბურთელი ვაჟები კი წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები გახდნენ. რაც შეეხება „ისკრის" ქალთა გუნდს, მან, „ავტომობილისტის" მსგავსად, ყველას აჯობა „ა" კლასის პირველ ჯგუფში და უძლიერესთა შორის თამაშის უფლება მოიპოვა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 27 მაისი. ასკ-ს სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი). დასაწყისი 14 ს. „სინათლის" სტადიონი. „სინათლე" (თბილისი) — „სულორი" (ვანი). 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 04536